სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 5 23 0001500531

06/11/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 20-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-16, მე-17, 37-ე, 38-ე მუხლებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N23 ოქმის N3 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის კვოტით აკადემიური საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე;
2. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები ჩატარდეს 2023 წლის 22 ნოემბერს (10:00 სთ-დან-14:00 სთ-მდე):

ა) აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი -1 ადგილი

3. კანდიდატთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2023 წლის 06 ნოემბრიდან და დასრულდეს 2023 წლის 16 ნოემბერს;
4. კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

5. კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ფაკულტეტიდან დაკავებული თანამდებობის შესახებ;
დ) ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“.

6. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) შორენა ლაზარიაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ბ) ირა შილდელაშვილი - უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გ) მარიამ ბასილაშვილი - უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტს;
8.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების სათანადო წესით გაცნობა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის და ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა